მარი სიმონიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.72

,,კითხვა დინების წინააღმდეგ" - გივი მარგველაშვილის რამდენიმე მინიატურის ინტერპრეტაციისთვის

,,მე წიგნის გმირი ვარ. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტოოდენ წიგნში მაქვს ბინა, მხოლოდ ორ ყდას შორის ვარსებობ ნამდვილად და ტელეფონის ნომრის მაგივრად გვერდის ნომერი გამაჩნია. დროდადრო - ეს ხშირად არ ხდება, მაგრამ წელიწადში ორი-სამი ვიზიტის იმედი მაინც მაქვს - რომელიმე რეალური პირი ჩამოხრის ხოლმე ჩემსკენ თავს. ჩვენსკენ-მეთქი,მინდოდა მეთქვა, რადგან მე ხომ მარტო არ ვარ ჩემს წიგნში..." - ამბობს მუცალი და ყოველ ღონეს ხმარობს განსაზღვრულ ბედისწერას თავი დააღწიოს [3:5].

მუცალისა და მარგველაშვილის სხვა პერსონაჟების მთავარი საწუხარი არის ის, რომ მკითხველები სულ უფრო ნაკლებად სტუმრობენ წიგნებს. ტირანი ავტორის მიერ საბედისწერო ნარატივში გამომწყვდეულნი მოჯადოებულ წრეზე ტრიალებენ და წლების განმავლობაში ცხოვრობენ იმ რეალობით, რომლისგანაც თავის დაღწევა ასე რთულია.

მარგველაშვილის პროზაში ლირიკული გმირები ვერ ეგუებიან აკრძალვებს, უმხედრდებიან ბედს და სხვა, უცხო რეალობაში გადმონაცვლებას ცდილობენ... ყველაფერი თავდაყირა დგება, სიუჟეტური განვითარების ხაზი ირღვევა, პერსონაჟები მწერალთან საბრძოლველად ემზადებიან და მკითხველისგან ელიან შველას. ,,პერსონაჟები ჩუმ-ჩუმად უჭვრიტინებენ და ათვალიერებენ მათი წიგნის თავზე დახრილი მკითხველის ვეება სახეს: აბა, თუ გვითანაგრძნობსო. დავიწყებული წიგნის გმირები გაუთავებლად უხმობენ მკითხველებს, რას აღარ იგონებენ, თავიანთ ტექსტებში შესატყუებლად..."[4:7). ქვეტექსტი კი დაკარგული მკითხველის ძიებაა. ერთგვარი პალიმფსესტური პრინციპი, რომლის საშუალებითაც იქმნება ამ ავტორის სამყარო, გულისხმობს ორი დიქტატურის წნეხქვეშ დაწრეტილი შემოქმედების დღის სინათლეზე გამოტანას სპეციფიკური, მომზადებული, უშიშარი მკითხველის მიერ. ლიტერატურათმცოდნე კლაუს ჰეტელვალტერი ,,მუცალის" შესახებ წერდა, რომ იგი გვევლინება როგორც კანტის კრიტიკული ნაშრომების, ალენის სასიამოვნო ლიტერატურული ხუმრობების ვირტუალურ შერწყმად [https://youtu.be/5DgklENNpKM]. მისი პერსონაჟი ხომ ორ ყდას შორის ცხოვრობს და და მხოლოდ ერთ რამეს ნატრობს, რამენაირად გაიჭრას გარეთ, მხოლოდ წიგნის გმირი კი არ იყოს, არამედ რეალურ ადამიანად გადაიქცეს. ჩვენ წინ ხომ არსებითად სხვა სამყარო იშლება, ეს დაშიფრული ავტობიოგრაფიაა, ყოფიერებისა და შემეცნების ახლებური გააზრება, ჭიდილი ისტორიულ პარადიგმასთან, წიგნის ორი ყდის მსგავსად ორგვარ რეალობასთან - ტოტალიტარულ ფაშიზმსა და ტოტალიტარულ კომუნიზმთან, ყოფის აუტანელ სიმძიმესთან და, რაც მთავარია, გამათავისუფლებელ, მხსნელ ადამიანთა შესახებ.

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით, განვიხილოთ გივი მარგველშვილის ის მინიატურები, რომლებშიც ლირიკული გმირები ეძებენ მკითხველს, რომელმაც ,,დინების საწინააღმდეგოდ უნდა იცუროს."

,,მკითხველის ცხოველმყოფელი ჩრდილი“. მკითხველი, როგორც მებაღე და ლექსის სამყარო, როგორც ბაღი - ამ შედარებით იწყებს გივი მარგველაშვილი მინიატურას და ამბობს, რომ ,,მკითხველთა ინტერესის კატასტროფული შენელება სათუთი პოეზიისადმი ლექსის სამყაროს გარკვეულ უბნებში ამ ყვავილნარს ჭკნობასა და სიკვდილს უქადის“ [4:48].

ესთეტიკური გაგებით, გამგები და გასაგები იმგვარად უკავშირდებიან ერთმანეთს, რომ წარმოშობენ მესამე ფენომენს - მხატვრული საზრისის სიცოცხლეს. გადამერის აზრით, არ შეიძლება ტექსტს ჰქონდეს რამე ისეთი ,,პირველადი გაგება,“ რომლის რესტავრაცია უნდა მოახდინოს ,,სხვა გაგებამ.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ტექსტის ხელახალი დაბადება დამოკიდებულია ,,შუამავალ გონზე,“ მედიატორზე, ტექსტის თვითცნობიერებაზე მისი გამგების ცნიბიერებაში. ამიტომაა, რომ ტექსტის საზრისი ყოველთვის მეტია ტექსტის ავტორზე და იგი ღიაა ,,სხვა გაგების“ ნებისმიერი შესაძლებლობისთვის. ამიტომ ამბობს მინიატურის ბოლოს ავტორი, რომ ,,რეალური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც მცენარეები მზის სხივებით ხარობენ, ლექსის სამყაროს ყვავილებს მკითხველის ჩრდილი აცოცხლებს“ [4 :49]. ამ შთამბეჭდავი ჩანაფიქრით, ტექსტისმიერი მიჯაჭვულობის ბორკილებს ამსხვრევენ პერსონაჟები და მკითხველისეული ჩრდილის დაცემით ქმნიან სხვა რეალობას.

,,მოტყუებული მკითხველი“. მწერალი ნაირა გელაშვილი მარგველაშვილის პროზაზე საუბრისას შენიშნავს, რომ მისი პერსონაჟები ,,რას აღარ იგონებენ, თავიანთ ტექსტებში მათ (მკითხველის) შესატყუებლად“. მუცალის თავგადასავლის მოსმენა ცხადად წარმოგვადგენინებს იმ გარემოებას, რომ პეროსნაჟებს თემატურ მიჯაჭვულობასთან ბრძოლა გადაუწყვეტავთ და მზად არიან როლები გაცვალონ - საკუთარი ტექსტისმიერი სინამდვილიდან გადმოინაცვლონ მკითხველის სინამდვილეში.

აღნიშნული მინიატურის შინაარსი ასეთია: ერთ ლირიკულ გმირს მობეზრდება თავისი ტექსტისმიერი ყოფა; იმედდაკარგული მწარედ მოსთქვამს და უხმობს მკითხველს, რომელიც მის ტექსტში (როგორც სახლში, ხაზგასმა ჩემია მ.ს.) შევა, თავად კი მის სიცოცხლეში გადმოინაცვლებს. და ასე ითანხმებს ის მინიატურის ავტორს, რომლის რეალობაც ახლა უკვე ასე გამოიყურება: ,,დაწყევლილ სტრიქონებში ჩაჭედილი, ერთი საცოდავი რეალური მკითხველი ვარ ჩემი მკითხველური ცნობიერების ამარა, თანდათან რომ მებინდება, რადგან ის ლირიკული მე აქ აღარ მობრძანდება“ [4:104].

მაშასადამე, მკითხველი იქცა პერსონაჟად, მიესაჯა განპირობებულობა და ტექსტში ჩარჩენილი, ახლა უკვე თავად სასოწარკვეთილ გმირად ქცეული, სხვა მკითხველებს სთხოვს დახმარებას: ,,მე ვთხოვ ყველა მკითხველს, ეს სტრიქონები სხვა მკითხველებსაც წააკითხონ და ჩემი გადარჩენისთვის რაიმე იღონონ“ [4 :105].

მწერალი და კრიტიკოსი ლექსო დორეული ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში - კედლის რეალობა თუ რეალობის კედელი ასეთ რიტორიკულ კითხვას სვამს: რატომ გარბიან პერსონაჟები გივი მარგველაშვილის ტექსტიდან? ავტორი წერილის დასაწყისში იხსენებს ფრანც კაფკას ,,პროცესს“ და იოზეფ კ.-ს, რომელიც ბინიდან გასვლის მომენტში უცხო ადამიანის სილუეტს მოჰკრავს თვალს. უცნობი როგორც კი მიხვდება, რომ შენიშნეს, მყისვე უჩინარდება თვალთახედვიდან. ეს ასოციაციურად შექმნილი მხატვრული სახე მკითხველის მეტაფორაა და შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ სანუკვარი მკითხველის, რომელსაც ასე ეძახიან წიგნის გმირები. ამრიგად, მკითხველი ლახავს ტექსტისა და რეალობის საზღვრებს და ლირიკული გმირის შემჩნევის ობიექტი ხდება. საინტერესოა, როგორ გრძელდება და რით სრულდება ეს შეხვედრა. კრიტიკოსი შენიშნავს, რომ ,,თუ შემთხვევით პერსონაჟმა გამოგიჭირათ, მიხვდა, რომ რეალური ცხოვრებიდან მას დაჟინებით უყურებთ,

შეიძლება ტექსტში სამუდამო ჩარჩენის, მის ერთ-ერთ პერსონაჟად ქცევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეთ, მეორე მხრივ კი, თავად წიგნის გმირები ეცდებიან, გააღწიონ ტექსტის საპყრობილედან და გაექცნენ ჩვენს მზერას, რომელიც მათ ნების თავისუფლებას უზღუდავს“ (http://arilimag.ge/%E1%83%A5%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%99%E1%83%94%E1%83%93%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A0%E1%83%94/?fbclid=IwAR1_mtun809Ez8p4X0RF9SDrmTRQZUf5zeI3FCCqJS0tI3Wi1XjksBbH5iQ).

გივი მარგველაშვილის ამ მინიატურის მკითხველი წიგნისმიერმა რეალობამ შთანთქა და ახლა უკვე ის ელოდება იმ ახალ წამკითხველს, რომელიც მას ,,კითხვა-ყოფნის ხაფანგიდან“ დაიხსნის. როგორც ვნახეთ გაქცევა შედგა - ოღონდ ორმაგი სტანდარტის დაცვით - ტექსტიდან ან ტექსტში (ხაზგასმა ლ.დ.).

„კითხვა დინების წინააღმდეგ“. ლექსის სამყაროს ბნელ ხეობაში მთის წყარო მირაკრაკებს, ხეობის თავზე ბეწვის ხიდია გადებული. ლირიკული მე სატრფოსკენ მიიჩქარება, მაგრამ სიუჟეტური შეფერხება აქ იჩენს თავს - ხიდზე ერთმანეთს ხვდებიან პერსონაჟი და მკითხველი, გვერდის აქცევა შეუძლებელია. ლირიკული მე იბნევა მკითხველის დანახვისას და გზის დათმობისკენ მოუწოდებს; მკითხველი კი ჯიუტად არ იცვლის ფეხს და მიუგებს, რომ მის კითხვა-ყოფაში უკან არ იხევენ; გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი წიგნი პერსონაჟისთვის უჩვეულოა მსგავსი შეხვედრა, აქამდე მხოლოდ ის იცოდა, რომ ,,წიგნის სამყაროს ადამიანები იმდენად არსებობენ მხოლოდ, რამდენადაც მუდამ წინ მიდიან თავიანთი თემატური მიზნების შესახვედრად“ [4:81]. ახლა კი რა ხდება? ვიღაცას ბეწვის ხიდზე ბეწვზე დაუკიდია მისი მომავალი (ხაზგასმა ჩემია მ.ს.), აქამდე მორჩილად ფეხდაფეხ ადევნებული მკითხველი ახლა უხეშად იჭრება თხრობაში და კითხვა-ყოფნის ყოველგვარ წესებს არღვევს.

კვლავ კითხვების კორიანტელი... რა ესაქმება ამ ვიღაც მკითხველს აქ და ახლა? რატომ დგას ის მკითხველის წინ და რატომ უკან არ მისდევს მას? ლირიკული გმირი ხვდება, რომ თემატურ აჩქარებას აზრი აღარ აქვს, კითხვა-ყოფნის ყოველგვარი წესები დარღვეულია და მას ისღა დარჩენია, მრისხანედ შეჰყვიროს წინ აყუდებულ მკითხველს გზის დათმობის მოთხოვნით; საპასუხოდ კი რას ისმენს? თურმე დაასწრეს. სატრფოს (მის თვალის ჩინს) უკვე სხვა ეწვია და ეს ,,სხვა“ მედიდურად გაჭიმული მკითხველი აღმოჩნდა, რომელსაც გულმა ვეღარ მოუთმინა და თემატური დინების წინააღმდეგ ცურვა განიზრახა, დაასწრო მოვლენებს და ბუნებრივად აქცია ის, რაც პერსონაჟისთვის არაბუნებრივად თემატურ მოულოდნელობას ქმნიდა - ,,მკითხველი ამჯერად ბოლოდან დასაწყისისკენ ანუ უკნიდან წინ კითხულობს“ [4:83].

ერთგვარი ესთეტიკური პერფორმანსი შემოგვთავაზა გივი მარგველაშვილმა აღნიშნულ მინიატურაში. პოსტმოდერნულ სააზროვნო სიბრტყეზე ტექსტი გაშლილია და მხატვრული თამაშის პრინციპით მწერლისეული სათქმელის ამგვარი გადაწყვეტა სულ უფრო მეტად გვაგონებს ე.წ. ფუკოს ქანქარას მოძრაობას, როდესაც ზღვარი წარსულსა და მომავალს შორის შლის კონკრეტული სააზროვნო სივრცს ზუსტად განსაზღვრის შესაძლებლობას [5].

მკითხველის სიამაყენარევი განცხადება, რომ ,,მე ვკითხულობ სადაც, როდესაც, როგორც და ვისაც მინდა“ [4:82]. ხაზს უსვამს არა წიგნისმიერი რეალობის აღმოჩენას, არამედ მეორე რიგის რეალობის შექმნას. ეს მეორე რიგის რეალობა კი თავისთავად მხოლოდ წარმოსახვით კონსტრუირდება და კლასიკური ტექსტის დეკონსტრუქციის პროცესიც სახეზეა.

გივი მარგველაშვილის პროზა შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც ზეგრძნობადის გრძნობადში გაცხადება. რადგან მასთან უკვე იდეად ქცეული სახეები ისხამენ ხორცს და ამგავრად ესთეტიკურად გამოვლენილნი უკვე ფენომენოლოგიის ძალით ხდებიან ღირებულნი. ამ ავტორის ტექსტებს არ აქვთ მხოლოდ წმინდა ლიტერატურული, ისტორიული, ფილოსოფიური მიკუთვნებუ-ლობა. აქ ყველაფერი ერთად ქმნის ახალ ენობრივ დისკურსს, ახალ სააზროვნო ჰორიზონტს ხსნის და ამ ენის გამგები მკითხველის ძიების საკითხს აყენებს ჩვენ წინაშე. წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობაც ეს გახლვათ ზუსტად - აჩვენოს ვინ არის მისი გაგებით მკითხველი, სად არის ეს უკანასკნელი და როგორია მისი პერსონაჟებთან ურთიერთობის მეტაფიზიკა.

გივი მარგველაშვილის პერსონაჟები ახალი მკითხველის დახმარებით აღწევენ თავს წიგნისმიერ საპყრობილეს, ორ ყდას შორის გაჭედილნი ელოდებიან, როდის გაიგებს მათ სასოწარკვეთილ ხმას მკითხველი.

ლიტერატურა:

1.ვასაძე თ., მუზაშვილი ნ., ჩუბინიძე ნ., ქართული 12, თბ., დიოგენე, 2008

2.ლიოტარი ჟან ფრანსუა, ,,პოსტმოდერნიზმი, როგორც ,,ასეთი“; თბ.1999, გვ.39;

3.მარგველაშვილი გ., ,,მუცალი“, თბ.1991, გვ. 5;

4.მარგველაშვილი გ., ,,მე წიგნის გმირი ვარ,“ თბ,. კავკასიური სახლი, 2018

5. ყულიჯანიშვილი ა. ,,ესთეტიკა,“ თბ. 2006, გვ.

Mari Simonishvili

Tbilis State University

A question against the flow" – for the interpretation of several miniatures by Givi Margvelashvili

Abstract

Givi Margvelashvili actually lived under two dictatorships - fascism and communism. That is why his prose is considered not to be a refuge, it is full of pain. Philosopher Giga Zedania notes on the one hand that emigration means a kind of double absence: Givi Margvelashvili, who neither lived in Georgia until the end nor in Germany, is a visible confirmation of this in literature and life; Nevertheless, it still has an identity, and it is Georgian-German. Thus, one of the starting concepts of Heideggerian philosophy - about discovery in a foreign environment3, is brilliantly confirmed by the life and creativity of Givi Margvelashvili.

Givi Margvelashvili is considered one of the most important modern thinkers. He started writing in 1961. At this time, he lives in Tbilisi, with the great efforts of his friends, he got a one-room apartment, which became a kind of Noah's ark. Later, the writer recalled that he was interested in conveying the feeling of internal emigration, he even notes that one is external emigration, the other is internal, and this was exactly the subject of his interest - to convey the feeling that each of them leaves on a person or in a person.

Jörg Zündenmayer, literary critic and publisher, notes that Margvelashvili's books are very difficult to read, it would be good if readers could follow Heidegger and Derrida in their thoughts without the help of the author. Husserl... although his prose does not have only elderly readers, this

literature is read by young people, for whom Margvelashvili's work is perceived as an intense thriller (https://youtu.be/5DgklENNpKM).

Margvelashvili's literary cosmos is constantly renewing, developing and inexhaustible. His prose is connected with the work of other writers, it creates a kind of network system and is completely consistent. What he writes about is relevant in all times and seems to be foreseen.